სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ აპრილს მე, ნოტარიუს თამარ ონიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. №97, მომმართა შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორმა ლევან ჯოხაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გიორგი ბენდელიანს. მე დავადგინე ლევან ჯოხაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი მართვის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლევან ჯოხაძემ (დაბადებული 26.10.1977წელს, ონში, მის: თბილისი პ.ყურაშვილის ქ. N12, ბარათის № 15IF34922, პირადი № 01019005822, გაცემული: 19.12.2016წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე შევამოწმე შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორის ლევან ჯოხაძის უფლებამოსილება ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 05.08.2020წელს, რეგისტრირებული 01.03.2002, გლადი-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 200079459, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა.

მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ აპრილს , შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორმა ლევან ჯოხაძემ შემდგომში „მინდობილობის გამცემი“

გიორგი ბენდელიანს (დაბადებული 25.04.1986წელს თბილისში, მისამართი: თბილისი, გლდანის მასივი, IIIა მიკრო/რაიონი, კორპუსი 17, ბინა 52, ბარათის № 15IF17386, პირადი № 01001029584, გაცემული 22.11.2016წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი როგორც შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორის ლევან ჯოხაძის წარმომადგენელი კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, ნებისმიერ მერიაში, ურბანულ სამსახურში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, მერიის ურბანული განვითარების სამსახურში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო განვითარების სამსახურში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, ქ.თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, გამგეობაში, საკრებულოში, ქონების მართვის სააგენტოში, უძრავი ნივთის მარეგისტრირებელ ორგანოში-სააჯარო რეესტრში, შსს, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებებში, სახელმწიფო არქივებში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459)ნებისმიერი უძრავი ქონების რეკონსტრუქციასთან, დემონტაჟთან, მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებასთან. იგი უფლებამოსილია განახორციელოს შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) ნებისმიერი უძრავი ქონების საზღვრების კორექტირება, დემონტაჟი, სარეკონსტრუქციო, სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის გაფორმება. უფლებამოსილია მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, მიიღოს სარეკონსტრუქციო, დაამზადოს სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა, დემონტაჟი, საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად, რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. ასევე რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან,დემონტაჟის მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების, ხელმოწერისა და სააჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით. უფლებამოსილია შეასრულოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი სავადასახადო ვალდებულებები. გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახადები. ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილია ჩემი, როგორც შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორის ლევან ჯოხაძის ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად. ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს " სოლი "-ს (ს/ნ 200079459) დირექტორის ლევან ჯოხაძის წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, ნებისმიერ ენერგო კომპანიებში, (მათ შორის თბილისი ენერჯი, თელასში, ენერგო პრო ჯორჯიაში, ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში, თბილისის დასუფთავების სამსახურში, სილქნეტში, მაგთში, დიღომი გაზში) და ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში, უფლებამოსილია ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, მოახდინოს ნებისმიერ დოკუმენტში ხარვეზის გასწორება, ცვლილების შეტანა, დადოს, შეცვალოს, გააუქმოს ხელშეკრულებები, აიღოს თანხმობები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს., ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით შეადგინოს, წარმოადგინოს და გამოითხოვოს ნებისმიერი შინაარსის განცხადებები, ცნობები, საბუთები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული მიდნობილობაში მაგრამ აუცილებელია ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 2 წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 21 აპრილის ჩათვლით.

გადახდილი სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი, სულ 35.40 ლარი და ხუთი (5.00) ლარი, რეგისტრაციის საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ „31-ე მუხლისა, 39 მუხლის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ლევან ჯოხაძე

ნოტარიუსი: ---------- (თამარ ონიანი)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

35132971793523

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230504754

რეგისტრაციის თარიღი

21.04.2023 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18